

სლიწადი მომზადებელი

რელიცია მომზადებელი

საერთო უნივერსიტეტი

მოცემული



მაისი 14.

№ 10.

შინაგანი მოცემულობის მინისტრის მიხედვით მისამართი

შინაგანი მოცემულობის მინისტრის მიხედვით მისამართი

ვ. რცხილაძე.....	იაკობ გოგებაშვილს ..	3
ვ. ახოშვილი.....	გაზის თბილ და ნაცარი.....	4
ა. დარეჯანაშვილი..	ლარიგება ხეხილების გამზადებაზე	6
ა. კახელაძე.....	ამერიკულ გაზის კულტურის მცენდნე პირთა თათბი.	
	(რუსული)	9
წერ. რედაქციისადმი.	კითხვა-პისუხი	16
განცხადებანი	16

სამეურნეო ჟურნალი

მუსავალი

(იბეჭდება ორ კვირაში ერთხელ)

წარსულ წელს გურნალში იღებდნენ მონაწილეობას: — ახორცილი ვ., ანზღეული ბ., ახალია ი., გულბათიშვილი ვ., გაღმოხვეწილი ბ., გვარაშავე ილ., გორთიშავილი ლ., გამხა-
რაშვილი გ., თაქთაქეშვილი გ., იოსელიანი ე., განელიძე ი., მჭედლიშვილი გ., მელია პ., მილ-
განი ლ., შაჩაბელი ა., შაჩაბელი ი., ნახუჭრიშვილი გ., როლოვი ა., რუსიშვილი ა., რცხილა-
ძე ვ., ქუთათელაძე ი., ყავრიშვილი ნ., ჩიგაძე ე., ჩხეიძე უ., ცხადაძე გრ., ღ—ძე ლ., მღ. ჭა-
ლიაშვილი, წ—ძე პ., ხეთაგური ს., უ—ელი ვ., უნგელია ვ.

რედაქტორ მოელის თანამშრომლობას სხვებიდანაც.

თანამშრომლობა საყურადღებოდ.

გურნალის შემსაგლიდან გაისტუმრება ხარჯი სტამბისა და კანცულარიისა, დანარჩენი
(თუ რამე დარჩა) წლის დამლევს დაურიგდებათ თანამშრომლებს პროპორციულად მათი
ნაშრომისა.

დასაბეჭდად მიღებული წერილები შეიძლება რედაქტორის შეასწოროს და შეამოკლოს.
წერილები და კორესპონდენციები, რომელიც არ დაიბეჭდებიან, არც შეინახებიან დასა-
ბრუნებლად.

რედაქტორი მზათ არის აღმოუჩინოს „მოსახლის“ მკითხველებს ყოველ გვარი შეამავ-
ლობა სამეურნეო იარაღებისა და მაშინების და აგრედვე ყველა სამეურნეო ნაწარმოების
შეძენასაგასაღებაში.

განცხადებები დაიბეჭდება მხოლოდ უკანასკენებ გვერდზე. ჩვეულებრივი სტრიქონ
(ვენური ან აკადემიური ასოთი) განცხადებისა ლირს თავი შაური.

წლიური აბონემეტებისათვის განცხადების ფასი რედაქტორისთვის შეთანხმებით.
განცხადების ფასი წინდაწინვე უნდა იყოს წარმოდგენილი.

რედაქტორი გურნალის ხელისმომწერების წლის დამლევს გაუგზავნის უფასოდ
დამატება-ბროშურას მეურნეობის რომელიმე დარგის შესახებ.

რედაქტორ-გამომცემელი ვ. ი. რცხილაძე

1910 წელი
1890
72



† 1840 – 1912

ბატონი იაკობ!

სიცოცხლეს გამოესალმება ხოლმე ის, ვინც იყო და აღარ არის. შენ იმათ-ში არ ურევიხარ. რა გამოგასალმებს შენ ჩვენგან, როდესაც შენი „დედა-ენა“ შენს სახელთან შეკავშირებული პირველი აუცილებელი სალამია ქართველ მო-ზარდთათვის და იმდენაშორის გაისმის სალამი იგი, რაც უფრო მეტი ხანი გადის. სანამ ცოცხალ არს ქვეყანაზე ქართველი დედა, თან დაყოლილი მასთან იარ-ხებებს ქართველი ენაც და შენ კი სიმღოლო ხარ ამ ორივეს ერთად შეერთებისა, შენ ხარ ცოცხალი დედა-ენა.

სიცოცხლე მოუსპობელს ძეგლიც ცოცხალი გაქვს აგებული არა-ჩვეულე-ბრივი. შენობა იგი, როცხვით მრავალი და არა ერთ ალაგის უძრავიდ მდგარი, ყველა ქართველის გულმკერდშია ჩამალული და ერთად შეერთებულს სიღიადე აქვს თვალ უწვდენელი და უძლეველი! ეს ძეგლი არის ქართველი ადამიანის გული რუსთვე-ლით თავმოწონებული, გული, რომელიც ამაყობს ილია ჭავჭავაძით და მეტყვე-ლობს შენგნით, ვინაიდან ხელი შენი შეეხო ამ გულის ენას და ენა მეტყველობს. სულიერს ჩვენსა სამყაროს შენის განზღვომით აკლდება უმთავრესი დედა-ბოძი. იყოს ნება შენი! ცრემლთა დენამ დაალბოს სამშობლო მიწა, რომ შენს ნაშრომში აღმოცენდეს სიმკვიდრე ჩვენი.

მუხლისა მოვიდრეკთ შენს წინაშე ჩვენ, როგორც ძენი, რამეთუ შენ ხარ სა-ერთო მამა შოთარდი ჩვენი თაობისა და მთელი ჩვენი ერისა.

ვაზის ობი და ნაცარი

გაშალეთ თეფშე სველი ქალალდი, დადეთ ზედ გამომცხვარი პურის ნატეხი, ან ხორცის ნაჭერი, ან გაჭრილი ვაშლი ან კართოფილი, დადგით თეფში თბილ ოთახში ფანჯარაზე და წამოაპირქვავეთ მასზედ შუშის ბადია.

ორი-სამი დღის შემდეგ თქვენ შეამჩნევთ რომ ბადის ქვეშ სანოვაგეზე მუქი ნაცრის ფერი ან მომწვანო-მოლურჯო ფერის თბი გაჩნილა.

ესეთივე ნაჭერი პურისა რომ დაგვედო თეფშე და ზემოდან არა დაგვეფარებინა რა, ობი შეიძლება სულაც არ გაჩნილიყო, ან თუ გაჩნდებოდა, ესე მალე არა.

რა არის ეს თბი და საიდან გაჩნდა ამ გადაფარებულ სანოვაგეზე?

უნდა მოგახსენოთ რომ ეს თბი წარმოსდგა ერთგვარ სოკოსაგან ისე როგორც უანგარო, გუდაფშუტი, ნაცარი არიან ხოლმე წარმომადგარნი სხვადასხვა გვარი სოკოებისაგან. სფორები მრავლად არიან ჰაერში და სანამ ბადის დავაფარებდით შეჭყვნენ თან სანოვაგეს.

მხოლოდ საქმე იმაშია რომ რასაც ხალხი უწოდებს „სოკოს“, ის სოკო კი არა სოკოს ნაყოფია მხოლოდ. ზოგი ამ ნაყოფთაგანი იქმება, როგორც მაგალითად ქამა სოკო, ნიუკა სოკო, წითელკაბა, მჭადა, ხრაშუნა და სხვ., ზოგი კი როგორც მაგალითად გველის სოკო და სხვ. არ იქმებიან.

რომ დავაკვირდეთ ქვემოდან სოკოს ნაყოფს, ვხედავთ რომ იგი შესდგება თხელი სიფრიფანა ფურცლებისაგან,

რომელნიც წარმოადგენენ მხოლოდ შეიარაღებული თვალისათვის დასანაც სფორებს. სფორა მეტად მარტივი აგებულობისაა. მოთეთრო - მოყვითალო მისი ლორწო - პროტოპლაზმო შეკუმშულია ერთ წვეთად, რომელსაც გარედან თხელი გარსი აქვს შემორტყმული, როგორც კვერცხის ცილას, რომ შიგ მოყოლილმა პროტოპლაზმომ იარსებოს.

მიუხედავად იმისა რომ სფორა ისე-თივე სათავეა მცენარის აღმოცენაში, როგორც მცენარის თესლი, ეს უკანასკნელი სულ სხვანაირი უფრო რთული აგებულებისაა. თესლი შესდგება მრავალი უჯრედებისაგან და შეიცავს მცენარის შთანასახს, რომელიც თავისი ღეროთი, ფესვით და პირველა თრი ფოთლით სრულ მცენარეს წარმოადგენს.

დადეთ სოკო თეთრ ქალალზე დადამყოფეთ ერთი ღამით სტაქან ქვეშ. მეორე ღღეს ქალალზე მიკროსკოპის შემწეობით თქვენ დაინახავთ სფორებს, რომელნიც იმ ღამით გამოუტანია სოკოს ნაყოფს და ჩამობნეულან ქალალზე. ეს სფორები რომ ჩაცივდნენ შესაფერ ნიადაგში, სოკო ამოვა.

სოკო სრულიად არ ჰგავს ჩვეულებრივ მცენარეს. თავის ღღეში სოკოს არა აქვს ისეთი სიმწვანე, როგორც სხვა მცენარეებს, რადგან არ არის სოკოში ნივთიერება ქლოროფილი, რომელიც საზოგადოდ ღიღ დანიშნულებას ასრულებს მცენარეში და სხვათა შორის კიდევაც ამწვანებს მას.

გარდა ამისა სოკოებს არა აქვთ არც ფესვები მცენარისებური, არც ლერო და არც ფოთლები.

აქედან ცხადია, რომ მათ არ შეუძლიანთ ისაზრდოონ ისე როგორც ქლოროფილის მქონე ყვავილიანი მცენარეები საზრდოობენ, ესე იგი არ შეუძლიანთ მიიღონ ჰაერის ნახშირმეუვე, შეითვისონ აქედან ნახშირბადი და სუფთა მეუგბადი გაანთავისუფლონ.

გაშასადამე სოკო უნდა სხვისა სარჩეოთი იკვებებოდეს, უნდა მზად მომზადებულ სხვებისგან ორგანიულ ნივთიერებებს ღებულობდეს თავის გამოსაკვებად.

ამიტომ არის რომ სოკოები პარაზიტებად წოდებული მოსახლეობენ ცოცხალ ორგანიზმოებზე, რომელთაც ართმევენ მზად გამზადებულ სინოყივრეს; ან და იზრდებიან მკვდარ ცხოველის ან მცენარის გახრჭნილ სხეულზე და იქიდან იღებენ თავიანთვის საჭირო საზრდოს.

სოკოთი ავადმყოფობაა მაგალითად ეგრედწოდებული მიღლიუ ანუ ვაზის ძბი.

ეს სატკივარი იჩენს თავს როცა ვაზი ფოთოლს გამოიტანს. ჯერ ქვემოთ თაზედაპირზე ფოთოლს ემჩნევა ობის მზგავი პატარა მომუქო-მოყვითალო ლაქები, მერქე, რომდენიმე ხელი წვიმა რომვა, ეს ლაქები თანდათან დიდდებიან, გაებმიან ერთმანეთს და ფოთოლი ხმება.

პარაზიტი ჩნდება არა მარტო ფოთოლზე, არამედ ვაზის ყლორტებზე, ყვავილზე, მტევნის კლერტზე და თვით ყურძნის მარცვალზედაც.

ყლორტზე და კლერტებზე ამ ობის სოკოს მოსდევს მომუქო—ნაცრისფერი

ლაქები, ლაქის ადგილები თითქო რა-ლაცას ჩაუდრევია-ჩაულრმავებიან.

სოკო თავისი ქსელებით გამოასებს ხოლმე ფოთლის უჯრედებ შორის და-ყოლილ ადგილებს, აქ მზადდებიან სფორები თოსფორებათ წოდებულნი, რომელთაც გაყავთ ზამთარი და გაზა-ფხულზე იძლევიან კონიდიებს, იგივე მილდიუს გასაჩენად.

ეს სატკივარი ამერიკიდან არის ევ-როპაში გადმოსული 1870 წლებში.

ბრძოლა წინააღმდეგ მდგომარეობს შემდეგში: 1) უნდა ამ სატკივრით დაა-ვადებული ფოთოლი, რქა, წალამი დაიწვას; 2) უნდა ეწამლოს შაბიამნის წამლით.

სოკოთივე ავადმყოფობაა აგრედვე თიღიუმი ანუ ნაცარი ჩვენებურად.

ვენახის დაყვავილების შემდეგ ფო-თოლს, ყლორტებს, მტევნს ვატყობთ ერთგვარ მომუქო ლაქებს, რომელნიც თანდათან იზრდებიან და ახმობენ ფო-თოლსაც და მტევნსაც. შექაშებული მარცვალი სქდება და ლპება ზედვე მტევნზე. თუ ძაან დაინაცრა ვენახი, რქა შემოუსვლელი რჩება საგაისოთ.

ეს სოკოც მრავლდება კონიდიებით, რომელნიც გაიყვანენ ხოლმე ზამთარს ვაზის ქერქსა და ნახეთქებში ჩამალულ-ნი და ვენახის ნიაღაგში ჩაბნევით.

ოიდიუმი პირველად ამერიკიდან არის შემოტანილი ევროპაში და ჩვენშიაც.

ბრძოლა. ებრძვიან ამ სატკივარს გოგირდის შეკრით ვაზის რქა-ფოთ-ლებზე და მტევნზე პირველად — როცა ვაზი ყლორტს გამოიტანს, მეორეთ — დაყვავილების დროს, მესამეთ — სამი-ოთხი კვირის შემდეგ დაყვავილებისა. როდესაც ძაან არის ნაცარი მოდებული, სწამლობენ მეოთხეჯერაც 2—3

კვირა რო ჩამოვა მესამე წამლობის
შემდეგ.

რგებს ვენასს ამ შემთხვევაში პო-
ლისუფილით წამლობაც.

პოლისულფილი... 3 ლოტი

წყალი..... 1 ვედრა.

ამ ბოლო დროს გოგირდს ურევნ

შაბიამნის წამალში და ასეც სწამლო-
ბენ ვენასს.

შაბიამნის წამალი და გოგირდი ერ-
თად შესხურებული ამცირებს ხარჯს
და თუ უკეთესად არა, ნაკლებად არა
რგებსო.

საჭიროა რამდენჯერებული იცადოს.

3. ახორცილი

დარიგება სეხილების გამრავლებაზე

კითხვა. რა ლონისძიებით შეიძლება
ხეხილების გამრავლება?

პასუხი. ხეხილების გამრავლება შეიძ-
ლება თესლით და ნამყენებით.

კითხ. რაგვარ თესლებს სთესავნ ხე-
ხილების გასამრავლებლიდ?

პას. ხეხილების გასამრავლებათ სთე-
სავნ ხეხილების თესლის.

კითხ. თუ დავთესეთ კარგი ჯიშის
ხეხილის თესლები, შეიძლება რომ მი-
ვიღოთ იმისთანავე საუკეთესო ხილი?

პას. ბევრჯელ კარგი. ხილის თეს-
ლებიდან გამოდის უჯიშო ხილი, მაგ-
რამ ბევრჯელ გამოდის იმისთანა ხილი,
რომ სჯობნის იმ ხილს, რომელიც იყო
დათესილი; მაინც და მაინც სჯობია
გარეული ხეხილის თესლებით გამრავ-
ლება.

კითხ. მაშ როგორ უნდა გავამრავ-
ლოთ კარგი ჯიშის ხეხილები?

პას. კარგი ჯიშის ხეხილები შეიძლე-
ბა გამრავლდეს ნამყენებით.

კითხ. შეიძლება ხეხილების ტოტები
დაირგას პირდაპირ მიწაში, როგორც
რგავნ სხვა მცენარეების ტოტებს?

პას. ხეხილების ტოტები, მაგალითად
ვაშლისა, მსხალისა, ქლივისა, ატმისა,
გარგარისა, ბლისა, ალუბლისა, შვინ-
დისა შეუძლებელია პირდაპირ დაირ-

გას მიწაში, რადგან ესენი არასდროს
არ იკეთებენ ფესვებს.

დანარჩენი ხეხილების ტოტები-კო-
მიგალითად: თხილისა, კალისა, ბრო-
ჭეულისა, ლელვისა, კომშისა, თუთი-
სა, მოცარისა და ულოსი შეიძლება
დაირგას პირდაპირ მიწაში და აღვი-
ლადაც იკეთებენ ფესვებს.

კითხ. თუ ხეხილების ტოტები არ
იკეთებენ მიწაში ფესვებს, მაშ რა უნ-
და უყოთ, რომ მათ შეეძლოთ ცხოვ-
რება?

პას. შაბიამნის ამისთანა ტოტების ცხო-
ვრება შეიძლება სხვა ხეხილების შემ-
წეობით.

კითხ. როგორ უნდა გაზარდონ
უფესვო ტოტები სხვა ხეხილების ფეს-
ვებმა?

პას. სხვა ხეხილების ფესვებს შეუძ-
ლიანთ გაზარდონ, როდესაც ვამყნობთ
მათზე.

კითხ. რა არის მყნობა?

პას. მყნობა არის შეერთება ერთი
ხეხილის ნაწილისა მეორე ხეხილის ნა-
წილთან; იმ ხეხილიდან, რომელიც
ჩვენ გვინდა გავამრავლოთ, ვჭრით პა-
ტარ-პატარა დამწიფებულ ყლორტებს,
ასე რომ თითო ყლორტზე უნდა იყვნო-
ოროლი კვირტი.

კითხ. რა ჰქვიან იმ ხეს, რომელზე დაც ვამყნობთ პატარა ყლორტებს?

პას. იმ ხეს, რაზედაც ვამყნობთ, ჰქვიან უჯიშო.

კითხ. რა ორნისძიებით შეიძლება ამ უჯიშოს გამრავლება?

პას. უჯიშოს გამრავლება შეიძლება თესლით.

კითხ. რა გვარ თესლებს სთესავენ უჯიშოს გასამრავლებლად?

პას. უჯიშოს გასამრავლებლად სთესავენ გარეულ ხეხილების თესლებს.

კითხ. შეიძლება უჯიშოს გასამრავლებლად დაითესოს თესლები ნამყენი ხეხილებისა?

პას. შეიძლება, მაგრამ ძნელად იშვიათება ნამყენი ხეხილების თესლები. გარდა ამისა ნამყენ ხეხილების თესლებიდან მომეტებული ხეხილი დიდხანს ვერა სძლებენ, ეშინიანთ სიცივისა და სიცხისა.

კითხ. რამდენ რიგად იყოფიან ხეხილები?

პას. ხეხილები იყოფებიან ორ რიგათ კურკიანი და უკურკო.

კითხ. რომელი ხეხილები ეკუთვნიან კურკიანს?

პას. კურკიან ხეხილებს ეკუთვნიან გარგარი, ჭერამი, ქლიავი, ნუში, ბალი, ალუბალი, შვინდი, უნძბი.

კითხ. რომელი ხეხილები ეკუთვნიან უკურკოს?

პას. უკურკოს ეკუთვნიან: ვაშლი, მსხალი, კომში, ლელვი, თუთა, ბროწეული.

კითხ. რაზედ უნდა იმყნოს ვაშლი?

პას. ვაშლი იმყნობა ვაშლზე, ჩვენებურ მაჟალოზე, ციმბირის მაჟალოზე და პატარა ხის გასაზრდელად კიდე ხომანდულზე და დუსენზე.

კითხ. რა განსხვავებაა რომ ვამყნოთ სხვადასხვა ნაირ მაჟალოზე ან ხომანდულზე და დუსენზე?

პას. მაჟალოზე ნამყენ ხეხილს არ ეშინიან არც სიცივისა, არც სიცხისა, რადგან იგი ღრმად იდგამს ფესვებს, ამისა გამო თამამი იზრდება და დიდხანს სძლებს, ვიდრე ხომანდულზე და დუსენზე ნამყენები. ამ უკანასკნელებს სამაგიეროდ აღრე გამოაქვთ ნაყოფი უფრო უკეთესი ლირსებისა და თვით ხეები კი დიდრონები არ იზრდებიან.

კითხ. რა სჯობია: მაჟალოზე მყნობა თუ ხომანდულზე ან დუსენზე?

პას. ხომანდულზე ან დუსენზე ნამყენი ბევრ მოვლასა და ფუფუნს თხოულობს, ხილი აღრე გამოაქვს, თამამსა და კარგ ლირსებისას ზრდის. ამიტომ ვისაც შეძლება აქვს და მოვლას არ მოაკლებს ამნაირ ნამყენებს, იმისათვის ესენი უფრო ხელსაყრელნი იქნებიან.

კითხ. რაზედ უნდა იმყნოს მსხალი?

პას. მსხალი უნდა იმყნოს პანტაზე, კომში და საღაც ხრიოკი ალაგია კუნელზე.

კითხ. რა განსხვავებაა ამ ნამყენებ შორის?

პას. კომშე და კუნელზე ნამყენები პატარა ხეები იზრდებიან როგორც ხომანდულზე და დუსენზე და ესევე ნაირად შეედარებიან პანტაზე ნამყენებს.

კითხ. რაზედ უნდა იმყნოს ბალი და ალუბალი?

პას. ბალი და ალუბალი უნდა იმყნოს ბალამწარაზე და მშრალ აღვილებში კიღუ მაგალებსკის ალუბალზე.

კითხ. რაზედ უნდა იმყნოს ქლიავი?

პას. ქლიავი უნდა იმყნოს ალიბუნარაზე, ტყემალზე, ალუხაზე, პირსარ-

დის ქლიავზე და, როცა ნაფალა ხეების გაზრდა გსურთ, კვრინჩხეზე.

კითხ. რაზედ უნდა იმყნოს გარგარი?

პას. გარგარი უნდა იმყნოს ჭერაშზე და ტყემალზე.

კითხ. რაზედ უნდა იმყნოს ატამი?

პას. წოტილ და ცივ ადგილში ატამი უნდა იმყნოს ტყემალზე, ხოლო მშრალსა და თბილ ადგილებში ატამზედვე ან ნუშე.

კითხ. რა გზით შეიძლება უჯიშოების თესლის მოგროვება?

პას. კურკიანი ნაყოფი: გარგარი, ქლიავი, ატამი, ბალი უნდა მოქუჩდეს, დალპეს, შემდეგ ჩაიყაროს ვედრაში ან კასრუში ჩაიჭილიტოს და გაირეცხოს.

პანტისა და მაჟალოს თესლის მოგროვება კი ასე უნდა მოხდეს: როცა ნაყოფი დამწიფდება, უნდა ხის შერხვით ჩამოაყრევინოთ ნაყოფი, ააქუჩით ერთ ალაგას, დროგამოშვებით დაურიოთ, რომ არ ჩახურდეს და ერთი თვე ან თვენახევრის შემდეგ როცა დალპება, აიჭილიტოს და გაირეცხოს.

ასაც წყალი ვერ გარეცხავს, ის უნდა ჩაიყაროს ცხრილში, დაისრისოს და ისე გაიყვანოთ და შემდეგ გარეცხოთ.

კითხ. როდის უნდა დაითესოს ამგვარად შეგროვილი თესლი უჯიშოებისა?

პას. დათესვა უნდა მოხდეს ჯერ დროებით.

აიღებთ ძირგაჩვრეტილ რამდენიმე ალაგას ხის ყუთს, ჩაუყრით ძირუში აგურის ან ნახშირის ნამტვრევებს, შემდეგ ჩაყრით დასველებულ ქვიშას ერთ ვერზოკის სისქეზე და მოაფენთ ანუ და-

თესავთ ზედ თესლს ისე კი, რომ თესლი თესლს არ ეხებოდეს, შემდეგ ზედ წაშლით ისევ სველ ქვიშას იგივე ერთ ვერზოკის სისქეზე და ახლა ამ შრეზე დათესავთ თესლს ისევენაირად; შერე გაჰვენთ ისევე ქვიშას, ისევე დათესავთ თესლს და გააყოლებთ ასე ვიდრე ყუთი აიგსება; ხოლო ყუთში ქვიშა ყუთის კედლებამდე არ უნდა გაღიოდეს, არამედ კედელსა და ქვიშის შუა უნდა რჩებოდეს სახსარი რომ შუშის ნამტვრევებით ამოიგსოს, რათა ვინიცობაა ხის ყუთის კედელი გახვრიტილ მაგალითად თაგვებმა, შუშის ნამტვრევებმა დაუშალონ თაგვებს და თესლამდისინ გასაფუჭებლად მაინც ვერ მივიღნენ. გარდა ამისა თუ ყუთი პირამდე არ იქნება გატენილი ქვიშით, არამედ გროვა ქვიშისა ზევით და ზევით წოწლოტინათ ამოვა, მაშინ ჰაერიც კარგად გაუვლის თესლს და თესლი არ დაიხშვება. შემდეგ ასე გამზადებულ ყუთს ჩამარხავთ მიწაში სექტემბერ-ოქტომბერში და დაამყოფებთ ასე იანვრის თითქმის დამლევამდე. ეს გახლავთ დროებით დათესვა.

შემდეგ იანვარში ამოიღებთ მიწიდან ყუთს, გაშინჯავთ თესლს და ნახავთ რომ ბევრი მათგანი გადახსნილა, ბევრიც იქნება უკვე გაღვიებული, ფესვებ გამოტანილი თითქმის ერთ ვერზოკზე და კიდევაც მეტზე. გადახსნილი თესლი დაითესება გამზადებულ კვლებში, ფესვებ გამოტანილებს კიდე ეს ფესვები წაეკვეცებათ ცოტაზე და ესენიც დაითესებიან იმავე კვლებში და მაშინვე მოირწყვებიან.

კითხ. როგორ უნდა მომზადდეს ნიადაგი ამ თესლების დასათესად?

პას. მიწა უნდა დაიბაროს ლრმად ბარით, ამოირჩეს კლერტი, ქვა და კარგად გაფხვიერდეს. შემდეგ უნდა დაკეთდეს კვლები სიგანით არშინახევარი ან ორი არშინი და კვლებ შუაც დასტოვოთ მისადგომად გზა, სიგანით ნახევარ არშინამდე.

კითხ. როგორ უნდა მოხდეს დათევ-კვა?

პას. მომზადებულ კვლებზე გარდი-გარდმოთ გაიყვანთ თოხის ქიმით ჯერ ერთ ნალარს, მერე ერთ ვერშოკის მოშორებით მეორეს და ასე რამდენიც დაეტვია კვალზე. ამ ნალარებში ჩასთე-სავთ თესლს და წააყროთ მიწას. კურ-

კიან თესლს სთესავენ უფრო ხშირად, რომ მკენარე ძალიან არ დამსხვილ-დეს, რადგან მყნობა ლერო-მსხვილ უჯიშოზე უფრო ძნელდება შედარე-ბით.

კითხ. რა სიღრმეზე უნდა ჩაიფლას თესლი დათესის დროს?

პას. კურკიანი თესლი, მაგალითად, გარგარი, ატამი, ნუში, ქლიავი, ბალი, ალუბალი უნდა დაითესოს ვერშოკ-ნახევარ—ორ ვერშოკის სიღრმეზე; წვრილი თესლი კი—მაჟალო, პანტა, კუმში და სხვა ერთ ვერშოკიდან ვერ-შოკნახევარ სიღრმემდე.

არჩილ დარეჯუანაშვილი

ამირიკულ ვაგის კულტურის მსურდი პირობის თაობირი, მოწვეული ქართულ
სსროფლო-სსმურნეო საგრადომის მიერ ქალაქ თელავში

სხდომა 1-ლი, 22 აპრილი 1912 წ.

სამხედრო საკრებულოს დარბაზი. სხდომაზე არის 200-მდე წარმომადგე-ნელი კახეთის სხვადასხვა კუთხიდან: წინამხრიდან; ალაზნის გამდა მხრიდან; ანაგა-კარდანახისა, გურჯაან-ველის/კი-ხისა, მუკუხან-თელავისა და თელავ-ახმეტის რაიონებიდან. დამსტრეთა მო-მეტებულს ნაწილს შეადგენენ მსხვი-ლი და წვრილი კახეთის მევენახენი— მემამულენი, გლეხნი, სასულიერო წო-დების პირი და ქალები, რომლებიც თვით უვლიან ვენახებს. სხდომაზე არიან წარმომადგენელნი მიწათმოქმედების და სახელმწიფო ქონებათა სამინისტროსი, სახაზინო სანერგეებისა და საუფლის-წულო მამულებისა. არიან აგრძელე იმერეთის, ქართლის და ივრის ხეობის წარმომადგენელნი.

სხდომა იხსნება თათბირის თავმჯდო-მარის თავ. დ. ე. ჩოლაყაშვილის ქვე-მორე მოყვანილის სიტყვით.

8. 6.

ახლად დაარსებულს ქართულ სასო-ფლო-სამეცნიერო საზოგადოებას თავი-სის არსებობის პირველ დღიდანვე არ შეეძლო ყურადღება არ მიექცია იმ სა-ფრთხესათვის, რომელიც მოელის კახეთს ვენახის შეუწყნარებელი მტრის—ფი-ლოქერის გაჩენის გამო. ეგრედწო-დებულ კულტურულ ბრძოლის მე-თოდზე გადასვლა ჩვენი საზოგადოე-ბის მიერ აღვიარებულია აუცილებ-ლად. მხოლოდ ასეთი მეთოდი მოით-ხოვს ყოველი მხრისათვის ადგილობრივ ჰავა-ნიადაგის მიხედვით შესაფერს ცდას შემდეგ საკითხების გამოსარკვევად: ამერიკულ ვაზთან ამა თუ იმ ნამყე-ნის შეთვისების, მათი ზრდის, მსხმო-იარობის და იგრძელვე მიღებულ ღვი-ნის ღირსების შესახებ. რადგანაც ამ საკითხების შესახებ დღემდე გადა-წყვეტილი არა არის-რა კახეთისა-

თვის, ამრომ ქართულმა სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებამ მისდამი შე-კითხვებით მიმართულ მეურნეო უპა-სუხა მხოლოდ „პლაკატის“ გამოცემით, რომლითაც ოფრახილებდა მცხოვრებ-ლებს არ აჩერდნენ ნამყენების შეძე-იაში და განიჩრახა მოწვევა დღევანდე-ლის თათბირისა იმ იმედით, რომ და-მსწრეთა შორის, რომელნიც უკვე დიდი ხანია მუშაობენ ამერიკულ ვაზის კულ-ტურაზე აქ, ადგილობრივ, შეაგრო-ვოს მასალა გადასაწყვეტად იმ საკით-ხისა, თუ რომელი ამერიკული ვაზებია საძირე ვაზებათ მისაღები კახეთისათვის. გიძლვნით რა წინდაწინვე მადლობას იმ თანაგრძნობისათვის რომლითაც ოქვენ მოეცარით ქართველ სასოფლო-სამე-ურნეო საზოგადოებას და რომელიც გა-მოიხატა იმით, რომ მობრძანდით დღე-ვანდელს თათბირზე კახეთის სხვადა-სხვა კუთხიდან ესე მრავლად, გთხოვთ ნება მიბოძოთ წავიკითხოთ თათბირის პროგრამის ექვსივე მუხლი, რომლებ-საც თქვენ უკვე იცნობთ და გაქსნა მსჯელობა პროგრამის პირველ მუხლის შესახებ.

ვ. ი. რცხილაძე. ქართულად სთარ-გმნის თავმჯდომარის სიტყვას და თა-ვის მხრით დასძენს: „მეღვინეობა კა-ხეთისათვის შეადგენს უმთავრეს საარ-სებო წყაროს. ფილაქერის გაჩენით საფრთხე მოელის ჩვენს ფიზიკურს არ-სებობას. თუ ჩვენ ჯერ კიდევა გვაქვს სიცოცხლის წყურევილი და არ დაგვ-დუნებია მისწრაფება ჩვენის მომავ-ლის უზრუნველსაყოფად, უნდა შე-ვერთდეთ და შეთანხმებულად ვიბრძო-ლოთ შემოსეულ მტრის წინააღმდეგ. მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ჩვენ თვითონ და ამასთანავე პირველ-

ნი ჩვენ გამოვეხმაურებით ჩვენს საკუ-თარს საჭიროებას ყველა ადგილობრივ კულტურულ ძალების შეკავშირებით და მივიღებთ ჩვენს თავზე საჭირო ხარჯს, შეგვიძლიან ვიქონიოთ იმედი, რომ მთავრობაც მიწათმოქმედების დე-პარტამენტის სახით გაგვიწევს დახმა-რებას. გამორკვეულია, რომ მიწათ-მოქმედების დეპარტამენტი ეხმარება სახელმწიფო ხაზინიდან მხოლოდ მა-შინ, როცა დახმარების მთხოვნელი იქნება იგი ერობა, თუ სასოფლო-სამე-ურნეო საზოგადოება, სულ ერთია, თავის მხრივაც გამოიღებს საჭირო თან-ხას განხრახულ სამეურნეო მუშაობის განსახორციელებლად. ვიტყვი უფრო მეტს. მიწათმოქმედების დეპარტამენტს გარკვევით ეტყობა შემდეგი ტენდენ-ცია: დახმარებას უწევს ნახევრით ან ერთი-ორად მეტს იმ თანხაზე, რომელ-საც თვით ერობა ან სამეურნეო სა-ზოგადოება ხარჯავს. ურიგო არ იქნე-ბა ეს გარემოება ჩვენც ვიქონიოთ მხე-დველობაში.

ლ. ი. ზაჟტონეგერი. წარმოდგენილი პროგრამა ეხება მხოლოდ ამერიკულ ვაზის კულტურას; ფილოქერის გავრ-ცელების შემდეგ ყველას არ ექნება სა-შუალება გააშენოს ამერიკულ ვაზზე დამყნილი ვენახი. ამიტომ საჭიროა პროგრამაში შეტანილ იქმნეს საკი-თხი, თუ რომელი კულტურა შეიძლე-ბა ჩადგეს ასეთს შემთხვევაში ვაზის ადგილას.

თავმჯდომარე წინადადებას აძლევს თათბირს მსჯელობა იქონიოს პრო-გრამის პირველ მუხლზე: ამორჩევა ამე-რიკულ ვაზის ჯიშებისა, რომლებიც საჭიროა გამოიცადნენ შესაფერი ნერ-გის გასაზრდელად იმ ადგილობრივ

და ეგროპიულ ვაზის ჯიშებისათვის, რომლებიც უნდა იქმნენ მაზე დამყნილნი.

ბ. დემენტიევი. დღევანდელ თათბირის მოწვევა მიაჩინა მას დროის შესახებ, რომ არ იცის ქართული ენა. თათბირის მიერ დასახულ საკითხებით დაინტერესებულია იგი ორნაირად, ჯერ ერთი, როგორც მემამულე და მეორეც როგორც მევენახეობის შესახებ მუშაობის ხელმძღვანელი. ვიღრე თათბირი იქონიებს მსჯელობას ფილოქსერის წინააღმდეგ გამძლე ვაზის შესახებ, საჭიროდ სთვლის აღძრულ იქმნეს საკითხი იმის შესახებ, თუ რა საშუალებებით იქმნეს დაცული დღევანდელი ვენახები. „ახალ ვენახების გაშენება, — განაგრძობს ორატორი, — ძირირად ჯდება, ყველასთვის არ არის ხელმისაწვდენი. ფილოქსერი აღმოჩენილია ჯერჯერობით მხოლოდ ალაზნის გაღმა ადგილში, რომელიც მოწყვეტილია სხვა ადგილებიდან. იქ საზოგადოდ ვენახები არ არის და შეიძლება ვიქონიოთ იმედი, რომ იქიდან ფილოქსერი არ გავრცელდება, მეტადრე როდესაც დაავადებულ ვენახებს სრულიად მოესპობთ, რაიც განზრახულია საამზაფხულოდ. საჭიროა ვურჩიოთ მეურნეთ არ შეიძინონ ამერიკული ვაზი ფილოქსერით დაავადებულ ადგილებიდან. ვაზის გადატან-გაღმოტანის თვალყურის გდება მინდობილი აქვს ტფილისის კომიტეტს, რომელსაც ჰყავს მარტო ორი ინსტრუქტორი მთელი გუბერნიისათვის. ინსტრუქტორების რიცხვი, რასაკვირველია, ცოტაა, ამიტომ წინადადებას ვაძლევ თათბირს აღძრას შუამდგომლობა ინსტრუქტორების მომატების, დამატებითი თანხის

გადადების და კახეთში მეღვინეთა და მევენახეთა სარაიონო კომიტეტის დაარსების შესახებ.

ბ. კახიძე. ეთანხმება დემენტიევის აზრს ინსტრუქტორების მომატების, დამატებითი თანხის გადადების და კახეთში მეღვინეობა-მევენახეობის სარაიონო კომიტეტის დაარსების შესახებ; ამასთანავე ითხოვს ჯერ ეს კითხვები იქმნეს თათბირის მიერ განხილული.

ბ. ჩერნოვი. წინადებას იძლევა განხილულ იქმნეს ის კითხვები და იმ რიგზე, როგორც აღნიშნულია პროგრამაში.

ბ. ვერმიშევი. აღნიშნავს რომ საკითხი დღევანდელ ვენახების დაცვის შესახებ განსხვავდება თავმჯდომარის მიერ დასმულ კითხვებისაგან. პირველი არის საორგანიზაციო საკითხი, მაგრამ მაინც შესაძლებლად ვცნობ ჯერ ეს კითხვა იქმნეს განხილული.

ბ. რცხილაძე. ზრუნვა არსებულ ვენახებისა და საზოგადოდ მთელის კახეთის დასაცავად ფილოქსერისაგან მეტად მნიშვნელოვანია და უნდა მიღებულ იქმნეს ყოველივე ზომა ამ მიზნისათვის, მხოლოდ სასურველია დღევანდელი თათბირი, რომელიც შესდგება ისეთ პირთაგან, რომელთაც გამოცდილება აქვთ ამერიკულ ვაზის კულტურის. შესახებ, გამოვიყენოთ იმ მიზნისათვის, რომელიც დასახულია თათბირის პროგრამაში. შუამდგომლობის აღძრა სხვა, თუნდა მეტად საჭირო საკითხის შესახებ, როგორიც მაგალითად ბ-მა დემენტიევმა წამოაყენა, შეიძლება შევიმუშაოთ იმის შემდეგ, როცა თათბირი გამოიტანს რეზოლუციებს პროგრამაში დასახულ საკითხებზე.

კრება ეთანხმება უკანასკნელ ორა-
ტორს. შემდეგ წაკათხულ იქმნა ბ-ნ
კუპეევის მოხსენება პრიგრამის პირ-
ველ პუნკტის შესახებ.

ბ. დემონტივივი. წაკითხულს მე უნდა
დაუმატო, რომ მოხსენებაში აღნიშნუ-
ლი ცნობები 30 საცდელ ვენახის ცდის
შედეგია. ეს საცდელი ვენახები ახლად
არის ჩვენგან გაშენებული ძველების
მაგივრად, რომელიც მევე გავაშენე
ი. სტაროსელსკის დროს მისი ხელმძ-
ღვანელობით. საბუთები, რომელებიც
დღეს ჩვენ ხელთა გვაქვს იმის შესახებ,
თუ რომელი ამერიკულ ვაზია გამოისა-
დეგი კახეთისათვის, იმდენად სრულია,
რომ თამამად შეგვიძლიან ყოველ მე-
ურნეს ვურჩიოთ, რომელი ამერიკული
ვაზი შეიძინოს თავის ადგილისათვის.

ბ. გოგნიაშვილი. გორის მაზრაში
გავრცელებულია რიპარია რუპესტრის
3309 და 3306 და რუპესტრის დიუ-
ლო. ეს ჯიშები პირველად კონდოლის
სანერგეში გადმოტანილი იქმნა გო-
რის მაზრიდან. ესვევ ჯიშები გავრცე-
ლებულია შორაპნის მაზრაშიაც. 3309
ბესარაბიაშიაც ყველა სხვა ჯიშებზე
მეტად არის გავრცელებული, რაშიაც
დაშარწმუნა ბესარაბიის სახაზინო სა-
ნერგეს გამგემ, რომელმაც სთქვა, რომ
მარტო ბესარაბიას შეუძლიან მილიო-
ნობით დაიკვეთოს ჩვენგან ეს ჯიშები,
თუ კი ჩვენ შევძლებთ დავაკმაყოფი-
ლოთ მათი მოთხოვნა. არ შემიძლიან
დავეთანხმო ბ-ნ კუპეევს მასში, ვითომ
3306 არ იყოს გავრცელებული. ზემო
ნათქვამს უნდა დაუმატო, რომ ფი-
ლოქერასთან ბრძოლა მოითხოვს შეერ-
თებულს მოქმედებას ქართულ სასოფ-
ტო-სამეურნეო საზოგადოებისას და
მთავრობის დაწესებულებებისას. მთავ.

რობის დაწესებულებანი ყოველ ლო-
ნებ ხმარობენ გავრცელდეს ამერიკულ
ვაზზე დამყნალი ვენახები, ქართული
სასოფტო-სამეურნეო საზოგადოება კი
ურჩევს არ გააშენონ იგი. ასეთს გან-
სხვაებას შემდეგში მაინც არ უნდა
ჰქონდეს ადგილი.

ბ. მაკარაშვილი. არ შემიძლიან და-
ვეთანხმო წინა მოლაპარაკეს, ვითომ
3309 ყველგან იყოს გავრცელებული
და ყველა ადგილისათვის ვარგოდეს.
კირ-ჭარბ ალგილებში 3309 ხლოროზით
ხდება ავად. ახაშენში, მაგალითად, რუ-
პეტრის დიულო გაცილებით უფრო
კარგს შედეგს იძლევა, ვიდრე 3309.

თავმჯდომარე. მე მსურს უპასუხო
ბ. გოგნიაშვილს. ივი დაბეჯითებით
გარძახის, რომ კახეთისათვის შესაფე-
რია სამი ჯიში, რომელებიც ძლიერ
კარგი აღმოჩნდა ქუთაისის გუბერნიი-
სათვის. ეს იმედი შეიძლება არ გა-
მართლდეს, რადგანაც ქუთაისის გუ-
ბერნიის და კახეთის ნიადაგისა და ჰავის
პირობები ძლიერ განსხვავდებიან ერთი-
ერთმანეთისაგან. გამოუცდელად ვში-
შობ ჩვენშიაც არ გამეორდეს იგივე,
რაც თაემართა ქართლში ვ. რ. ყიფი-
ანს, რომელსაც ამ ჯიშებზე ჰქონდა
დამყნილი ვენახი და, თუმც ნამყენი
კარგად შეეთვისა, ნაყოფიც ბლომად
გამოჰქონდა, მაგრამ ყურძენი არა მწიფ-
დებოდა, რისგამოც უქმად ჩაუარა შრო-
მამ და ხარჯმა. რაც შეეხება ქართულ
სასოფტო-სამეურნეო საზოგადოების
ვითომ განცალკევებით მოქმედებას,
უნდა აღვნიშნო, რომ საზოგადოება
სწორედ რომ მასა ცდილობს — შექმნას
შეთანხმებული მოქმედება ყველა სა-
ზოგადოებრივ და მთავრობის დაწესე-
ბულებებსა და საუფლისწულო მამუ-

ლების წარმომადგენელთა შორის. ხოლო მიზანშეთანხმებული მოქმედება მოითხოვს შრომის განაწილებას. ნიადაგების შესწავლა ქიმიურის და მექანიკურის ანალიზებით, ღვინის ტიპების შესწავლა, ფართო ორგანიზაციის შემოღება ფილოქსერისაგან დაცვისათვის და სხვა მოითხოვს დიდს ხარჯს. ისეთ საკითხებში კულევ, როგორადაც ნერგის ამორჩევაა ამა თუ იმ ადგილისათვის, ან გავრცელება ხალხში მიღებულ ცდის შედეგისა და სხვა, დიდი თანხის საშუალებითაც ვერას გახდებით, თუ საზოგადო დაწესებულებანი უმოქმედობას გამოიჩენ და თვით ხალხში არ აღიძვრება ინტერესი. აი სწორედ ამ მიზნით მიმართა ქართ. სასოფლო - სამეურნეო საზოგადოებამ პირდაპირ ხალხს „პლაკატით“ და მოიწყია დღევანდელი თათბირი, რათა უმოქმედობიდან გამოეყვანა მომეტებული ნაწილი მეურნეთა და აქტიური მონაწილეობა მიეღებინებინა ისეთს მნიშვნელოვან საქმეში, როგორიც არის ფილოქსერასთან ბრძოლა. რაღანაც არ იყო საკმარისი საბუთები ამა თუ იმ ჯიშის რჩევისათვის, ამიტომაც ქართულ სასოფლო - სამეურნეო საზოგადოებას არც შეეძლო მიეღო თავის - თავზე პასუხისმგებლობა ასეთ რჩევის შესახებ. ხოლო ვინც არ მოულოდნიებს განზრახულ ცდის შედეგს და მოისურვებს ამერიკულ ვაზის გაშენებას თავისივე პასუხისმგებლობით, ეს მას არავისგან არ დაეძრახება.

ბ. გოგნიაშვილი. უპასუხებს მაკარაშვილს და თავის აზრის დასამტკიცებლად მოჰყავს წერილი პროფესორ ვილასი, რომელსაც ვასილ ჯაფარიძემ გაუგზავნა ურიათუბნის ნიადაგის ნი-

მუშები და მიიღო პასუხად რომ ამ ნიადაგებისათვის შესაფერია ვ3309 და 101-14.

ყიფიანს რომ ყურძენი არ უმშიფედებოდა ქართლში, ამის მიზეზი იყო არა ამერიკული ნერგი, არამედ ის, რომ ამერიკულ ვაზზე დამყნილი იყო ქუთაისის გუბერნიის ჯიშის ვაზები „კრასუნა“ და „ციცქა“, რომლებიც შეჩევულები არიან შედარებით დიდ სითბოს.

ბ. ჩერნოვი. ჯერ უნდა ნიადაგი გვქონდეს შესწავლილი და შემდეგ ისე ამოვარჩით ვაზის ჯიშები.

ბ. დემენტიევი. ვუერთდები გოგნიაშვილის აზრს და შესაძლებლად ვსცნობ ეხლავე ახალ ცდის შედეგის მიღებამდე ვურჩით ხალხს ზოგიერთი ვაზის ჯიში, რათა მით დრო მოვიგოთ. რაც შეეხება ზეადაგის შესწავლას ამ ზაფხულის შემდეგ შეგვეძლება გამოვცეთ მთელის ცახეთის ნიადაგების კარტა, ისე როგორც ქუთაისის გუბერნიისათვის გვაქვს უკვე გამოცემული.

ლ. ბეზარაშვილი. მე ვენახი მაქვს გაშენებული გურჯაანში; ვენახი დამყნილია რუპესტრის დიულოზე; გსხლავ 9—10 კვირტზე; მოსავალს დაუმყნობელ ვენახზე მეტს თუ არა, ნაკლებს აღარ მაძლევს. ლვინო ღირსებით არაფრით არ ჩამოუვარდება დაუმყნობელ ვენახების ლვინოს.

ბ. თუშმალაშვილი. ამტკიცებს გოგნიაშვილის მიერ მოყვანილს პროფესორ ვილასი წერილის შინაარს და თავის მხრივ დასძენს, რომ თანახმად პროფესორის რჩევისა ურიათუბანში გაშენებულია 4 დესეტინა ვენახი ვ3309-ზე დამყნილი.

ამის შემდეგ იქნა წაკითხული ბ-ნ ავერკინის მოხსენება. ამავე საგნის შე-

სახებ თათბირს მოხსენდა ბ. ტიებოს აზრიც.

ბ. რცხილაძე. საკითხს სთვლის გა-
მორკვეულად და წინადადებას იძლევა
დაასახელონ დამსწრეთა შორის რამდე-
ნიმე პირი, რომლებიც შეადგენენ კო-
მისიას და ვიღრე კრებები გათავდება
შეიმუშავებენ სიას იმ ამერიკულ ჯიშის
ვაზებისას, რომლებზედაც უნდა იქმნეს
დაწყებული გამოცდა.

თათბირი შესაძლებლად სცნობს კო-
მისიას ამოურჩევლად ეხლავე დასახე-
ლებული იქმნეს კახეთისათვის შესა-
ფერი ამერიკული ვაზის ჯიშები, რომ-
ლებიც უნდა იქმნენ გამოცდილნი
რამდენიმე ადგილას.

სხდომის შეწყვეტის შემდეგ საპრე-
ზიდენტო მაგიდასთან ადგენენ ამერი-
კულ ჯიშების ვაზის სიას, რომელიც
კრების მიერ დამტკიცებულ იქმნა და
გამოითქვა სურვილი რომ ეს ჯიშები
შემოწმებულ იქმნენ ყველა საცდელი
ვენასებში, რომლებიც კი იქმნება გა-
შენებული.

საცდელად მიიღო კრებამ შემდეგი
ჯიშები:

Rupestris du Lot.

Ripar. Rup. 1014, 3306 & 3309,

Berl. Rip. 420A, 420B, 420C,

Rip. Gloire,

Rip. Berlandieri 34EM,

Shaselas Berlandieri 41 B.

შემდეგ ამისა აღიძრა საკითხი იმის
შესახებ, თუ რომელი ადგილობრივი
ჯიშები ემყნოს ამერიკულ ვაზზე და
შეიძლება თუ არა ადგილობრივ ჯიშე-
ბის გარდა ემყნოს ევროპიული ვაზის
ჯიშებიც და სახელდობრ რომლები.

ბ. ზაკტრეგერი. წინადადებას იძლე-
ვა რომ ადგილობრივ ჯიშების გარდა
ემყნოს ევროპიულიც.

ბ. ლიონიძე. ეთანხმება ზაკტრეგე-
რის აზრს და ოღნიშნავს, რომ კახე-
თის რკინის გზის გაყვანის შემდეგ მო-
თხოვნილება იქნება ისეთი ღვინისაც,
რომორიც მზადდება ევროპიული ჯი-
შის ყურძნისგან.

ბ. გოგინაშვილი. არ ეთანხმება წი-
ნა მოლაპარაკეს და ოღნიშნავს, რომ
ადგილობრივ ღვინოს მუდამ ჰქონდა
და აქვს კარგი გასავალი.

ბ. ეკრმიშევი. აღნიშნავს, რომ კა-
ხერი ღვინო ვერ პოულობს გასავალს
შიდა რუსეთში და ამიტომ იძულებული
ვართ ადგილობრივ გავასალოთ ნაკ-
ლებ ფასში, მაშინ როდესაც საუფ-
ლისწულო მამულების ღვინო, რომე-
ლიც უჭიჭოთ არის დაყენებული, მუ-
დამ კარგს გასავალს პოულობს. ორა-
ტორი საჭიროდ სთვლის საცდელად
ეყინოს ევროპიული ვაზის ჯიშებიც.

ბ. რცხილაძე. აღნიშნავს, რომ სანამ
ცდა ჯერ არ გაკეთებულა, არ შეიძ-
ლება წინდაწინვე იმის თქმა, ვითომ
ევროპიული ჯიშები არ ვარგოდეს.
როდესაც გამოცდილება გვიჩვენებს ამ
შიშის სანამდვილეს, მაშინ აღარც გა-
ვაჩინთ ევროპიულს ჯიშებს. სანამ კი
ურიგო არ იქნება ცდა მოვაწყოთ ამ
ჯიშებზედაც მხოლოდ საცდელს ვენა-
ხებში.

ბ. ნაცვლიშვილი. საფერავის, შვა-
ნეს და რქაწითელის გარდა გურჯან-
სა და კარდანაბში გავრცელებულია
კიდევ თეთრი მაღალლირებიანი ჯიში
„მჭერარა“. წინადადებას იძლევა საცდე-
ლად ეს ჯიშიც იქმნეს აღებული.

ბ. დემენტიევი. საფერავი მეტად
კარგი ჯიშია. საფერავის ღვინო უნა-
კლულობა. ეს ჯიში ვრცელდება უც-
ხოეთშიაც. მე დარწმუნებული ვარ,

როდესაც ყველგან გაიგებენ საფერავის ლიტერატურის, სხვა ჯიშებს ზურგს შეაქციანენ. საფერავზე უკეთესი წითელი ჯიშის ძებნა ჩვენთვის საჭირო არ არის. ვეთანხმები ბ. ლიონიძეს, რომ რკინის გზის გაყვანის შემდეგ აღმოჩნდებიან სხვაგვარ ლვინის მომხმარებელნიც. ჩემის აზრით, ურიგო არ იქნება ცდა მოეწყოს თეთრი ვაზის ჯიშებზე, როგორც ჩვენებურზე, აგრევე ევროპიულ ჯიშებზე. მით უმეტეს რომ ჩვენი თეთრი ყურძენი არ იძლევა ისეთს განსაკუთრებულ თვისების ლვინის, როგორც საფერავი. ჩვენ შეგვიძლიან თეთრი ლვინობი დავამზადოთ მომხმარებელის გემოვნების მიხედვით, წითელი ლვინო კი, რომელსაც ვაყენებთ ჩვენებურ სწორუპოვარ საფერავისაგან, მომხმარებელს მუდამ მოეწონება.

ბ. მჭედლიშვილი. ეთანხმება ბ-ნ დემერტივის აზრის.

ბ. მაკარაშვილი. წინადადებას იძლევა ჯერჯერობით ვიკმართ მხოლოდ ადგილობრივი ჯიშები.

ბ. ვერმიშვილი. საჭიროდ სცნობს, საცდელად იღებულ იქმნას კაბერნეც.

ბ. ბაკარაშვილი. ჩემის დაკირვებით საუფლისწულო მამულში დავჩრწმუნდი, რომ „კაბერნეც“ ლვინო გაცილებით უკეთესია საფერავისაზე, მხოლოდ მოსავალს პირველი ნაკლებს იძლევა მეორეზე.

ბ. რცხილაძე, კრებას არ ეინტერესება შედარება საფერავის და კაბერნეც ლვინობისა ცალკ-ცალკ. საკითხი შეეხება იმას, თუ როგორი ლვინო დადგება საფერავს, რომ კაბერნე შეურიოთ ამა თუ იმ პროპორციით.

ბ. ჩერნოვი. აღნიშნავს, რომ საფერავი იმდენად სავსეა შედგენილებით,

რომ მისგან კაბერნეცს გამორჩევა აღვილია და საფერავის მიღება კაბერნედან კი შეუძლებელია.

ბ. ქორქაშვილი. წინადებას იძლევა საცდელად წითელ ჯიშებიდან აღებულ იქმნეს კაბერნე, ხოლო თეთრი ჯიშებიდან რისლანგი და აღიგოტე.

ბ. მაკარაშვილი. აღიგოტე არ ითვლება გამძლე ჯიშად.

კრება შენიშნავს, რომ აღიგოტე არა სძლებს დიდხანს თავის ფესვებზე, ამერიკულს ვაზზე დამყნილი კი ნაცალი ჯერ არ არის.

ბ. მთვარელიშვილი. საჭიროდ არ მიმაჩნია სხვაგნებურ ჯიშების გაშენება. ხოლო ლვინის დაყენებას ევროპიულ წესზედ კი საჭიროა.

ბ. ცყავაძე. ზედმეტად სთვლის უცხო ქვეყნის ვაზის გაშენებას. არ ეთანხმება ბ-ნ ვერმიშვილი, ვითომ კახური ლვინო არა საღდებოდეს რუსეთში.

ბ. რცხილაძე. აღნიშნავს კითხვის შესახებ ორს გამორკვეულს მიმართულებას. საკითხის გადაწყვეტა ხმის უმეტესობით მიაჩნია შეუფერებლად. წინადადებას იძლევა საცდელად იღებული იქმნეს სხვა ქვეყნის ვაზის ჯიშებიც. ვცალოთო,—ამბობს ორატორი, და თუ არ ივარგებს, მაშინ აემხედრდეთ მათ წინააღმდეგათ.

საკითხი გამორკვეულად ითვლება, თათბირი დასკვნავს ქვემოლ მოყვანილს რეზოლუციის.

ამერიკულ ვაზზე დასამყნბად იღებული იქმნეს უმთავრესად ადგილობრივი ჯიშები—საფერავი, მწვანე, რქაწითელი, ბუდეშური და მჭინარა. ამ ჯიშებს უნდა დაემატოს უცხო ქვეყნის ვაზის ჯიშებიც, სახელდობრ წითელი

კაბერნე და თეთრი—რისლინგი, ალი-
გოტე და სემილიონი.

ამის შემდეგ თავმჯდომარე კიდევ
მაღლობას უცხადებს დამსწრეთ და ბო
დიშს იხდის, რომ მას საჩქაროდ უხდე-

ჰა პეტერბურგში წასვლა კახეთის რეი-
ნის გზის საქმეების გამო. თათბირის
თავმჯდომარეობას გარდაცემს ვ. ი.
რცხილაძეს და ხურავს კრებას ნაშუა-
დლევის 4 საათზე.

წერილი რედაქციისადმი

ბ-ნო რედაქტორო!

თქვენს პატივცემულ სამეურნეო
უურნალ „მოსავალში“ ამა 1912 წელს
პირველ ქ-ში მუხიანის უფასო სახალ-
ხო წიგნთ-საცავ-სამკითხველოში სხვა-
თა შორის ჩვენ წავიკითხეთ გარეულის
თხზულებიდან ლიუტერ ბერნაკის
მიერ მცენარეების გადაჯიშების შესა-
ხებ, რამაც ჩვენში დიდი სურვილი
აღძრა, შევიძინოთ მისგან რამდე-
ნიმე ჯიშის ხე, სახელდობრ: უკალ
კაკტუსი საჭმელი და ჩქარი მოზარდი
ხეებიდან ნიგზის ხიდან გადაკეთებუ-
ლი ჯიში „პარადოქსი“. ამისათვის
გთხოვთ თქვენ უმორჩილესად, თუ რომ
თქვენის რედაქციიდან შეიძლება შე-
ძენა ამ ხსენებული ხეებისა, დაგვავა-
ლოთ და შეგვაძენინოთ, რასაკვირვე-
ლია ფასდადებით. წინააღმდეგ შემთხვევ-
აში გთხოვთ გვაკნობოთ ვის და რო-
გორ მივმართოთ. საჭიროა ნერგს თანვე
მოყვეს მცენარეების მოვლა-აღზრდის
დარივებაც. თუ რომ თქვენ მიერ იქ-

ნება შეძენილი ზემოხსენებული მცე-
ნარეები იმ შემთხვევაში მომავალ ქ-ში
„მოსავალის“ პირობები გთხოვთ გვა-
ცნობოთ.

მთხოვნელი:	<div style="display: inline-block; vertical-align: middle; text-align: center;"> პარმენ გერესაშია უარავან ციბაძე ერმილე ქეჩუაძე დავით გრგუაშვილი ერასტო ციბაძე </div>
------------	--

პასუხი. — თქვენი წერილის გამო
მივმართეთ დეპარტამენტს და ვსთხოვთ,
რომ მან თავისი ხარჯით იკისროს თქვენ
მიერ შემოკვეთილი მცენარეების გა-
მოწერა. თუ არ დაკმაყოფილდა ჩვენი
ოთხოვნა, მაშინ იძულებული ვიქნებით
პირდაპირ ბერნაკს მიემართოთ ამე-
რიკაში იქ მყოფ რუსეთის სამეურნეო
აგენტის ბ. კრიშტოფოვიჩის შუამავ-
ლობით. რუსეთში ჯერ არსაც არ არის
ხსენებული მცენარეები გაშენებუ-
ლი, რომ მათი შეძენა შეიძლებოდეს
აქვე.

რედ.

**ცოდელ კარაკლისში, ერევნის გუბერნია, 15 თბილოვიდან 15 მა-
რიამობისთვემდე მიწათმოქმედების დეპარტამენტი ჭმართავს დროებით ქუ-
სტეს მურნეობები, დაწვრილებითი ცნობების გასაგებათ მსურველთ შეუ-
ლიანთ მიმართონ:** { ტფილისში—ა. ა. ქალანთარს, გრიბოდოვის ქ., № 5.
კარაკლისში—კურსების გამგეს ა. ზ. თამაშშევს.

რედაქ.-გამომცემელი ვ. ი. რცხილაძე